შემოსავლების სამსახური

ადმინისტრირების დეპარტამენტი

ბრძანება N 7029

09/03/2015

რიგი გადამხდელების მიმართ ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-10 ნაწილის და "გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების მე-14 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვინაიდან ვერ ხერხდება აუდიტის დეპარტამენტის მიერ შპს „დაიმონდ თამარ"-ის (ს/ნ 204469789) მიმართ გამოცემული 2015 წლის 03 თებერვლის N2548 ბრძანების, შპს „ფლაი ჯორჯია"-ს (ს/ნ 404400046) 2015 წლის 23 იანვრის N21-14/5358 და შპს „ჯორჯიან პეტროლიუმ პროდაქტს კომპანი"-ს (ს/ნ 404879832) 2015 წლის 26 იანვრის N21-14/5760 შეტყობინებების კოდექსის დადგენილი წესით ჩაბარება, აღნიშნული ბრძანების და შეტყობინებების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გადამხდელისათვის საჯარო შეტყობინებების მიზნით განხორციელდეს მათი საჯაროდ გავრცელება.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსების მიზნით, აუდიტის დეპარტამენტის მიერ შპს „დაიმონდ თამარ"-ის (ს/ნ 204469789) მიმართ გამოცემული 2015 წლის 03 თებერვლის N2548 ბრძანება, შპს „ფლაი ჯორჯია"-ს (ს/ნ 404400046) 2015 წლის 23 იანვრის N21-14/5358 და შპს „ჯორჯიან პეტროლიუმ პროდაქტს კომპანი"-ს (ს/ნ 404879832) 2015 წლის 26 იანვრის N21-14/5760 შეტყობინებები გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს აუდიტის დეპარტამენტის მიერ შპს „დაიმონდ თამარ"-ის (ს/ნ 204469789) მიმართ გამოცემული 2015 წლის 03 თებერვლის N2548 ბრძანების, შპს „ფლაი ჯორჯია"-ს (ს/ნ 404400046) 2015 წლის 23 იანვრის N21-14/5358 და შპს „ჯორჯიან პეტროლიუმ პროდაქტს კომპანი"-ს (ს/ნ 404879832) 2015 წლის 26 იანვრის N21-14/5760 შეტყობინებების შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე (www.rs.ge) გამოქვეყნება.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: აუდიტის დეპარტამენტის უფროსის N26749-21-14 05.03.15 წ სამსახურებრივი ბარათი.

გიორგი თაბუაშვილი



შემოსავლების სამსახურის უფროსი